N გ-24-03/1708
09/08/2024

1708-გ-24-03-2-202408091526

შპს „მაგთიკომს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2024 წლის 8 აგვისტოს, 15:00 საათზე გასამართი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მოსამზადებელი სხდომა გადაიდო და ახალი მოსამზადებელი სხდომა დანიშნულია 2024 წლის 15 აგვისტოს, 15:00 საათზე (კომისიის სხდომის სამუშაო დრო: 21:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „ტელე 1"-თან მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერების თაობაზე შპს „მაგთიკომის" განცხადების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში რეგისტრაციის № შ-24-6/3315, თარიღი: 01.08.2024) განსახილველად მიღებისა და დავის განხილვის დღის დანიშვნის საკითხი.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი